

ქეთევან ლომთათიძე

დ > გ მონაცვლეობის შემთხვევები ქართულში და ამ პროცესთან დაკავშირებული ზოგი ფუძის წარმომავლობის საკითხი აფხაზურში

ქართული ენის დიალექტებში შეინიშნება ცალკეულ ფუძეებში დ>გ მონაცვლეობის ფაქტები.

ქ. ძოწენიძეს ზემო იმერულში დადასტურებული აქვს „მოზიგვა“ „მოზიდვა“-ს გაგებით („ზიგემდა ბაგრატი შეშას“, „ზიგამს“, „ამოზიგული“)¹. ამ ნიადაგზევე წარმოქმნილი ხომ არ არის ხორდი, ხორგის პარალელური სახეობები, რომლებიც საბას განმარტებით არის: „წყალთ ყინული დიდი მონატეხი“.

თავად ხორდი, სონანტის მეზობლად ხშულთა გამკვეთრების პროცესის საფუძველზე, მოხეურში იძლევა „ხორტ“-ს: „ცხვარი გაიძაბა ვიწრო ხვეულს ხეობაზედ და დაემსგავსა მოძრავ გრძელ ხორტს“².

აღნიშნული დ>გ მონაცვლეობის ფონეტიკური პროცესის მოქმედების შედეგად უნდა ხერხდებოდეს აფხაზურში არსებული ზოგი სიტყვის წარმომავლობის გარკვევა.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აფხაზურში (აბაზურშიაც) აციგა-„ცუდის“ აღნიშნველი ფუძე. იგი აფხაზურის ფონეტიკური სისტემით გამართული ქართული „ცუდ“-ი გამოდის.

თვით ქართ. *ცუდის* შესახებ საკმაო ლიტერატურა არსებობს. მანდრონიკაშვილი შესაძლებლად მიიჩნევს *ცუდ* ფუძე, ერთი მხრივ, უკავშირდებოდეს *ცოდვა-ცომა* ფუძეებს.

ამავე დროს იგი ვ. აბაევთან ერთად მიუთითებს მის ალანურიდან ძველ ნასესხობაზე.³

იმავე ავტორის ახლახან გამოცემულ ნაშრომში ქართ. *ცუდი* მიჩნეულია სომხ. *სუტ*-იდან მომდინარედ.⁴

ჩვენ სარწმუნოდ გვესახება იმ ავტორთა მოსაზრება, რომლებიც თვლიან *ცუდ* ფუძის კავშირს ქართველურ ენებში შესატყვისობის მქონე ამოსავალ *ცუედ* ფუძესთან.⁵

ქართ. *ცუ* კომპლექსს აფხაზურში მოუცია რთული ლაბიალიზებული *ც* ბგერა, ქართული დ ზემოთ განხილული ფონეტიკური პროცესისვე საფუძველზე შენაცვლებულა გ ხშულით, ხოლო შემდგომ *ც*გ თანხმოვანთა თავშეყრის გამო დართვია აფხაზურისათვის დამახასიათებელი ნასესხებ სიტყვათა ფუძეებში აუსლაუტის ვოკალიზაციის ტენდენციის შედეგად ა ხმოვანი.⁶

სათანადო შემთხვევებში (როგორც მითითებულია იქვე) ჩვეულებრივი მოვლენაა უკანაენისმიერ ხშულთა პალატალიზაცია. ამრიგად, სავსებით კანონზომიერად

ქართულმა ცულ ფუძემ აფხაზურში მოგვცა ა-ცოგ-ა.

ასე წარმოქმნილ ფუძეს შემდეგი ცვლილებაც გაუვლია. კერძოდ, შედარებითი ხარისხის წარმოებისას თვისების გამოხატველ სიტყვებს წინ მიერთვის ად→ეგ=პრეფიქსი. ასე გართულებულა ად→ეგ=პრეფიქსით =ცოგ-ა ფუძეც „უარესის“ შინაარსის მისაღებად და წარმოქმნილა ად=ცოა (დ-ეგ ცირტპ „უარესია“) <*ეგ=ცოგ-ა - საგან.

შეცდომა იქნება „უარესის“ ძირეულ ნაწილად ჩაითვალოს „ცოა“, ა ხმოვანი მასში „ცოგ-ა“ კომპლექსის გამარტივების (ე.ი. გ-ს ჩავარდნის) შედეგად არის მიკედლებული ცო ძირეულ მასალას.

დ>გ მონაცვლეობის გამოხატველი უნდა იყოს აფხ. ამგ-ალ „მჭადის“ აღმნიშვნელი ფუძეც. მას ამოსავალ სახეობად უდევს მეგრ. დიარა „დაპურება“, სვ. დიარ „მჭადი“.⁷

აფხაზურ სახეობაში დ>გ პროცესი იმით გართულებულა, რომ გ-ს მომდევნო ი-ს გამოუწვევია მის წინ მდგომი ხშულის პალატალიზაცია (ხმოვნური ი ელემენტის „ია“ კომპლექსში გაუჩინარებით), რ სონანტი შენაცვლებულია ლ სონანტით.

ყურადღებას იჭყვეს ის გარემოებაც, რომ ფუძეს წინ უძღვის ბაგისმიერი მ თანხმოვანი. ბაგისმიერების (მ,ბ...) ანლაუტი კი დამახასიათებელი მიდრეკილებაა აფხაზურისათვის.⁸

თავად ქართველურ ენებში არსებული ეს დიარ („მჭადი“, „დაპურება“...) ფუძე უნდა მომდინარეობდეს „დიკა“...-ს სახელწოდებიდან ია ხმოვანთ შორის კ თანხმოვნის გაუჩინარებით. (ანალოგიური ცვლილებისათვის შდრ. *ლიაც<*დეაც<*დეკაც<*დედკაც<*დედაკაც...).

თუ ჩვენი ეს ვარაუდი სარწმუნოა, ეგებ მისი თურქულიდან ნასესხობობის საკითხი შებრუნებულად დაისვას.

შენიშვნები:

1. ქ.ძოწენიძე, ზემო იმერული ლექსიკონი, 1974.
2. ა.ყაზბეგი, I, 1948 წ. გვ. 454,5.
3. მანდრონიკაშვილი, „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“, თბ., 1966, გვ. 123.
4. მზია ანდრონიკაშვილი, „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. II, ნაწ. I, 1996, გვ. 213.
5. ამის შესახებ ვრცლად არის მსჯელობა ავთანდილ არაბულის ნარკვევში „[უ] - [უ] სეგმენტთა მონაცვლეობისათვის ისტორიულ ფუძეებში“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ VI, 1996, გვ. 5-6.
6. იხ. ავტორის „აფხაზურში ნასესხებ სიტყვათა ფუძეების აუსლაუტის ა-ური ვოკალიზაცია“, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, 1997, თეზისები.
7. მზია ანდრონიკაშვილს, პირიქით, გ>დ მონაცვლეობის შედეგად მიაჩნია ჭან. გიარ, მეგრ. დიარ, ქართ. ქერი, რომელთაც უკავშირებს სპ.-თურქულ gāz („ქერ“) სიტყვას. იხ. მისი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. II, ნაწილი I, თბილისი, 1996, გვ. 201, 205, 230.
8. ავტორის „ბაგისმიერის მიდრეკილება ანლაუტში მოხვედრისა აფხაზურ ენაში და ტოპონიმი „ამტყალ“, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, 1995წ., იხ. თეზისები.

KETEVAN LOMTATIDZE

**CASES OF $D \rightarrow G$ ALTERNATIONS IN GEORGIAN AND THE ORIGIN OF SOME
STEMS RELATED TO THIS PROCESS IN ABKHAZIAN**

The action of the corresponding processes (of I $d \rightarrow g$, II $g^* + a \rightarrow$ III $gra \dots$) should account for the origination of *atsogra* ("bad"), *aitsaa* ("worse"), *agral* ("maize-bread") lexical units in Abkhazian from the kartvelian languages *as tsudi* ("bad"), *diar* ("maize-bread", Svan).